

| | |
|--|--|
| <p>ფოკანის საიუველირო და სამკლესიო ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა ბათუმის თიბისი ბალეკაში</p> <p><i>პრეს-რელიზი</i></p> <p>22 აგვისტოს, 19:00 საათზე, თიბისი ბანკისა და თიბისი სტატუსის ინიციატივით, ბათუმის თიბისი გალერეაში „ფოკანის“ საიუველირო და საეკლესიო ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა გაიხსნება. მოწვეულ სტუმრებსა და თიბისი სტატუსის მომხმარებლებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ ექსკლუზიური, 10%-იანი ფასდაკლებით და შეიძინონ მათთვის სასურველი, ძვირფასი ნივთები.</p> <p>დამთვალიერებელი პირველად ნახავს სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძის საყურის ასლს, რომელიც „ფოკანის“ ოსტატებმა სპეციალურად ამ გამოფენისთვის დაამზადეს. გადმოცემით, ეს, სწორედ, ის საყურეა, რომელმაც ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი ცნობილი ლექსი „საყურე“ შთააგონა.</p> <p>გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იქნება: „ფოკანის“ კოლექციაში შესული უნიკალური ნამუშევრები: უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული ოქრომჭედლობის ნიმუშები, თანამედროვე დიზაინის სამკაული, ტიხრული მინანქრით, ფაიფურითა და მოზაიკის ელემენტებით გაფორმებული აქსესუარები.</p> <p>ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის სახელოსნო “ფოკანი” 2001 წელს, წმ. ნინოს სახელობის ფოკის დედათა მონასტერში, დავით კაკაბაძის (უმცროსი) თაოსნობით დაარსდა. მოგვიანებით, „ფოკანის“ ნაკეთობები უფრო მრავალფეროვანი გახდა, დაემატა ფაიფურის, ხელით მოხატვის, მოზაიკისა და მიკრომოზაიკის მიმართულებები. 2010 წლიდან „ფოკანი“ გაფართოვდა, გამდიდრდა უახლესი ტექნოლოგიებით და დაიწყო თანამედროვე დიზაინის ხელნაკეთი სამკაულებისა და აქსესუარების დამზადება.</p> <p>„ფოკანის“ ნამუშევრები, უმთავრესად, დავით კაკაბაძის მიერ მოკვლეული და ნაშრომში „ქართული ორნამენტის გენეზისი“ თავმოყრილი ორნამენტით არის შთაგონებული. „ფოკანის“ სამკაულის უნიკალურობა ქართული საოქრომჭედლო ტრადიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შერწყმაშია.</p> | <ul style="list-style-type: none"> ◆ ფიზიკური პირების მომსახურება; ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება; ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება; ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა; ◆ ლიდერი დეპოზიტების ბაზარზე ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში; ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში; ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში; ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე; ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა; ◆ FitchRatings: B + and B ◆ Moody’s: B1 and Ba 3 |
|--|--|

| | |
|--|--|
| | |
|--|--|